პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 27 (19768) შაბათი, 31 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 29 იანვარს გამართულ სხდომაზე განხილა უპირველესი რიგის საკითხები, რომლებიც უკავშირდება გარდაქმნისა და საკადრო პოლიტიკის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და ბანყოფილებებს დაეევალოთ გულდასმით შეისწავლონ პლენუმის მონაწილეთა წინადადებები და შენიშვნები, გაშალონ პრაქტიკული მუშაობა იმისათვის, რომ დაჩქარდეს გარდაქმნა და თვისებრივად ამაღლდეს საკადრო მუშაობის დონე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების შესაბამისად.

პოლიტბიუროს მხარი დაუჭირა საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებას, რომ ფართო განხილვისათვის იქნეს გამოტანილი სსრ კავშირის პროფკავშირების წესდების პროექტი პარტიის XXVII ყრილობის დოკუმენტებიდან გამომდინარე ცვლილებებით და დამატებებით. შემოთავაზებულ ცვლილებათა მიზანია შიდაპროფკავშირული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება, პროფკავშირთა წევრების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის განვითარება დაჩქარებისა და გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში.

განხილულია 1986 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების საკითხი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ შედეგების შეჯამებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგეგმო დავალებებისა და მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სახელმწიფო შესყიდვის გეგმების, მომპირნეობის დავალებების შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. უთუოდ პირობა უნდა იყოს საცხოვრებელი სახლების, საყაზმყოფოების, სკოლებისა და ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობის გეგმათა შესრულება.

პოლიტბიურომ მოისმინა და მოიწონა ამხანაგების ა. ნ. იაკოვლევის, ა. თ. დობრინინისა და ვ. ა. მედვედევის ცნობა 22-23 იანვარს ვარშავაში გამართული სოციალისტური ქვეყნების მომმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების საერთაშორისო და იდეოლოგიური საკითხების მდივნების თათბირის შედეგების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თათბირზე დასახული საგარეო-პოლიტიკური და იდეოლოგიური თანამშრომლობის სრულყოფის, მათი ურთიერთმოქმედების იმ პრინციპების საფუძველზე განმტკიცების კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მომმე პარტიების ხელმძღვანელთა მოსკოვის სამუშაო შეხვედრაზე ჩამოყალიბდა. შესაბამის უწყებებსა და ორგანიზაციებს დაევალათ განახორციელონ მიღწეულ მორიგებათა რეალიზაციისათვის გამიზნული საჭირო ღონისძიებები.

ქალთა საკავშირო კონფერენციის მონაწილეებს

ძვირფასნო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად ესალმება ქალთა სრულიად საკავშირო კონფერენციის მონაწილეებს.

საგულისხმოა, რომ კონფერენცია ეწყობა დიდი ოქტომბრის სამოცდაათი წლისთავის წელს. სოციალისტმა ქალებმა საბჭოეთის გმირულ მატიანეში ჩაწერეს უჭნობი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი მიღწევების მრავალი ფურცელი, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი.

დღეს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე — წარმოებასა და სოციალურ სფეროში, მეცნიერებასა და კულტურაში, განათლებაში მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა ქალების ინიციატივიანი, შემოქმედებითი როლი. საბჭოთა ქალებმა საბჭოეთის გმირულ მატიანეში ჩაწერეს უჭნობი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი მიღწევების მრავალი ფურცელი, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი.

დღეს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე — წარმოებასა და სოციალურ სფეროში, მეცნიერებასა და კულტურაში, განათლებაში მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა ქალების ინიციატივიანი, შემოქმედებითი როლი. საბჭოთა ქალების შრომისმოყვარეობა და ნიჭი, მათი ცოდნა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, მაღალი ორგანიზებულობა და დისციპლინირებულობა ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათით რევოლუციური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახა სკკპ XXVII ყრილობამ. უდიდესი მადლიერებით ეკიდება ხალხი დედის კეთილშობილურ შრომას, ქალების ფასდაუდებელ წვლილს ბავშვების აღზრდაში, ოჯახის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. ქალები, რომლებიც სოციალისტური საზოგადოების გავლენიან ძალას წარმოადგენენ, აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, გარდაქმნაში, ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენი წყობილების იდეალებისა და ღირებულებების განმტკიცებისათვის.

საზოგადოების ცხოვრებაში ქალების როლისა და მნიშვნელობის შემდგომ გაძლიერებას უწყობს ხელს ქალთა საბჭოები — აქტიური საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებიც იშვა სოციალისტური მშენებლობის დროს. ისინი სრულად ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს ჩვენს დღეებში. ქალთა საბჭოების ფართო ქსელის შექმნა, მათ ერთ სისტემად გაერთიანება საბჭოთა ქალების კომიტეტის მეთაურობით მნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების გზაზე.

ქალთა საბჭოები მოწოდებული არიან პარტიის საიმედო თანაშემწეები იყვნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო და საზოგადოების საქმეთა მართვაში, საწარმოო, სოციალური და იდეურ-ზნეობრივი ამოცანების გადაწყვეტაში ქალთა უფრო სრული ჩაბმის საქმეში. ქალთა საბჭოების მნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყონ ქალების შემოქმედებითი უნარის განვითარებას, დაიცვან მათი უფლებები და ინტერესები, გამოიჩინონ შეურიგებლობა დედათა და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევებისადმი, იღვაწონ, რათა ხელშემწყობი პირობები შეუქმნან მათ შრომასა და დასვენებას. ბევრი რამ ხელეწიფებათ ამ თვითმოქმედ ორგანოებს. დაე, იმოქმედონ მათ უფრო ენერგიულად, შემოქმედებითა და შეუპოვრად.

ახლა არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ქვეყნად მშვიდობის განმტკიცება, საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აიცილოს თავიდან კაცობრიობის ბირთვული კატასტროფის საფრთხე, დამკვიდროს ხალთთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო. ეჭვგარეშეა, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც მაღლა ატარებენ მშვიდობის დროშას, წარმატებით ითანამშრომლებენ მთელ კეთილ ნების ძალებთან, კიდევ უფრო აქტიურად გამოიჩენენ თავს ომის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი უსურვებს კონფერენციის მონაწილეებს ნაყოფიერ მუშაობასა და წარმატებებს ქალთა მოძრაობის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტაში. გისურვებთ დიდ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და სიხარულს, მშვიდობიან მომავალს, ძვირფასო ქალებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

იქავ შეოგველი მიწის მოამაგე

პარტიას ქალების მხარდაჭერის იმედი აქვს — ეს სიტყვები, რომლებიც გაისმა სკკპ XXVII ყრილობის ტრიბუნიდან, აღსავსეა ნდობითა და საბჭოთა ქალების სოციალური აქტიურობის აღიარებით. რევოლუციის კომისრები, ხუთწლედების დამკვრელები, დიდი სამამულო ომის მებრძენი, მოყვარული დედები და თაყვანსაცემი მშრომელები — მათ ყველას აერთიანებს პარტიის, დიდი ოქტომბრის იდეალებისადმი ერთგულება, ხალხის შმიდათაშმიდა სამსახური.

დღეს, როცა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში გაიმალა გარდაქმნა, ქვეყანას განსაკუთრებით სჭირდება, რომ ქალები კიდევ უფრო აქტიურად ებმებოდნენ ეკონომიკისა და კულტურის მართვაში. დაეხმარონ პარტიას ადმოჩენილ სამშობლოს სახელოვანი შვილების მრავალმილიონი რაზმის უდიდესი სულიერი და შრომითი პოტენციალი — ამისთვის არის მოწოდებული ქალთა საბჭოების ერთიანი სისტემა, რომელიც იქმნება პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ჩვენი დრო, რევოლუციური ცვლილებების დრო მოითხოვს ფართო მასების ეოცახალ შემოქმედებას. თანამედროვე ეტაპზე ქალთა საბჭოების ამოცანები განიხილეს ქალთა სრულიად საკავშირო კონფერენციის დელეგატებმა, რომელიც გაიმართა 30 იანვარს, მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში. კონფერენციაში მონაწილეობდა რესპუბლიკების, ოლქების, მხარეების ათასზე მეტი წარმომადგენელი.

ტაშით შეხვდნენ კონფერენციის მონაწილეები ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ა. ა. გრომიკოს, ნ. ი. რიჟკოვს, ა. ნ. იაკოვლევს, ა. ა. ბირიუკოვას, გ. პ. რაზუმოვსკის.**

პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე პირველი ხუთწლედების გმირები და ომის სახელგანთქმული ვეტერანები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარჩინებული მუშები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, მასწავლებლები და ექიმები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ქალთა საკავშირო კონფერენციის მონაწილეებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებას, **რომელიც** წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. პ. რაზუმოვსკიმ.**

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქალთა საბჭოების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ვ. ვ. ტერეშკოვამ.** დრმა, თქვა მან, მოგვიწოდა განვიხილოთ და გავიაზროთ უმნიშვნელოვანესი საკითხი: რა ადგილს დაიკავებენ ქალები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, გარდაქმნის პროცესში, რომელიც ნამდვილად რევოლუციური ხასიათისაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებულმა პლენუმმა ახალი ძალით გაუსვა ხაზი, რომ გარდაქმნის საბოლოო მიზანია ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარის ღრმა განახლება, ჩვენი წყობილების ჰუმანისტური ხასიათის უფრო სრულად წარმოჩენა მისი ყველა გადაწყვეტილ ასპექტით — ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ასპექტებით. საბჭოთა ქალები გონებითა და გულით იღებენ პარტიის იდეებს, ისწრაფვიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ჩვენი კონფერენციისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გულითადი მისალმება, საერთო-სახალხო საქმეში ქალთა მონაწილეობის მაღალი შეფასება შთაგვაგონებს ყველას ახალ მიღწევებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქალთა საკავშირო კონფერენცია დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსშესანიშნავ წელს მიმდინარეობს. ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო ძირფესვიანად შეცვალა წარმოდგენა ქალის სოციალური როლის, ოჯახსა და საზოგადოებაში მისი ადგილის შესახებ, არამედ რეალურად, ნამდვილად უზრუნველყო მისი უფლება იყოს თავისი ბედის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი. უსაზღვროდ ბევრი რამ მიიღო საბჭოთა ქალმა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, მაგრამ თავად ქალმაც ბევრი რამ გააკეთა მისი იდეალების განხორციელებისათვის.

სამშობლოს ისტორიის ყველაზე პასუხსაგებ მომენტში პარტია ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. ნ. იაკოვლევმ** ასეთ კითხვებზე: ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს,

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა ასპინძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ და მკაცრი შეფასება მისცა მათ. განხილული საკითხის გამო კომიტეტმა სათანადო დადგენილება მიიღო.

იმის ნაცვლად, რომ ეზრუნათ პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისათვის, საკონტროლო საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, სათანადო დასკვნები გამოეკეთებინათ არაერთგზის გამოთქმული შენიშვნებისა და მწვავე კრიტიკიდან, ასპინძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი, მისი თავმჯდომარე ლ. მელიქიძე და ინსპექტორი ზ. რიჟამაძე პირიქით მოიქცნენ, თავად დაადგნენ აშკარა სიყალბისა და თვალისაბვეთის გზას. კომიტეტში შეიქმნა თვითდამშვიდების, განუკითხობისა და დამნაშავე პირებისათვის ხელის დაფარების უაღრესად მავნე ატმოსფერო.

კომიტეტში უხეშად ირღვეოდა თანამდებობის პირთა ქმედების განხილვისას სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მოთხოვნები. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კომიტეტმა 98 თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა. აღმოჩნდა, რომ აქედან 71 კაცი არ დასწრებია კომიტეტის სხდომებს. უფრო მეტიც, 1985 წელს კომიტეტმა თანამდებობიდან გადააყენა სოფელ ნაქალაქევის კოლმეურნეობის ფერმების გამგეები დ. მაღრაძე და ჯ. ოთანაძე. ჯერ ერთი, ეს პირები კომიტეტის სხდომაზე არ გამოუძახებიათ და, რაც მთავარია, ისინი მანამდე კოლმეურნეობის გამგეობამ უკვე გაათავისუფლა თანამდებობიდან. უპასუხისმგებლობა იჩამდეც კი მივიდა, რომ ხელი მიაყვეს კომიტეტის სხდომების ყალბი ოქმებისა და სხვა ფალსიფიცირებული დოკუმენტების შედგენას.

შარშან აქ, როგორც კომიტეტის ხელმძღვანელები აცხადებენ, 10 სხდომა გაიმართა. შემოწმებით კი დადგინდა, რომ აქედან სამი სხდომა (28 იანვარს, 26 აგვისტოსა და 30 სექტემბერს) არ გამართულა და მისი ოქმები ყალბად არის გაფორმებული.

ამ კომიტეტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი მისი საქმიანობის დაგეგმვის მცდარი პრაქტიკის ბრალია. პერსპექტიულ და მიმდინარე სამუშაო გეგმებში გვერდი აქვს ავლილი მრავალ აქტუალურ საკითხს, რაიონის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომ მნიშვნელოვან პრობლემებს. სწორედ ამიტომ კომიტეტს უხდება გეგმით გაუთვალისწინებელი, მაგრამ რეგიონისათვის საჭირბოროტო საკითხების შესწავლა. 1985-1986 წლებში გეგმით გათვალისწინებული 61 საკითხიდან კომიტეტს არ შეუმოწმებია 28 საკითხი. ამასთან შემოწმებებს ახასიათებს წვრილთემიანობა, ძალზე დაბალია მათი ხარისხი, ქმედითობა. მაგალითად, რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების შესახებ საკითხის განხილვისას გამოვლინდა უხეში დარღვევები, კოლმეურნეობებში იყო პირუტყვის შემოსავალში გაუტარებლობის, ნამატის დაუნშარობის, პირუტყვის დაავადებისადმი უყურადღება დამოკიდებულების შემთხვევები. მიუხედავად ამისა, კომიტეტი დასკვნად კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისათვის საყვედურების გამოცხადებას და პასუხი არ მოსთხოვა ამ საქმეში უშუალო დამნაშავე პირებს — მთავარ ზოოტექნიკოსებს, მთავარ ბუღალტრებს, ფერმების გამგეებს. ამასთან პირუტყვის აღრიცხვის საქმეში არსებული დამახინჯებების საკითხი არ გადაუცია პროკურატურისათვის.

კომიტეტში უგულებელყოფილია საქმის წარმოება. უკანასკნელ პერიოდში საერთოდ არც კი ადგენდნენ საქმეს შემოწმების შედეგებზე. შარშან მოწყობილი 23 შემოწმებიდან კომიტეტში ინახება მხოლოდ ერთი შემოწმების მასალა. მიღებული დადგენილებები ვერ უზრუნველყოფს არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას. რაიონულ კომიტეტს არ გააჩნია დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის სისტემა.

ჩაწერილია მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების განხილვის საქმე. ორი წლის განმავლობაში კომიტეტში შესული 10 განცხადებიდან შესწავლილია მხოლოდ ერთი, დანარჩენებზე არავითარი დოკუმენტი არ არის შედგენილი. სამწუხაროდ, განცხადებლებს პასუხიც კი არ მიუღიათ.

სრულ უმოქმედობას იჩენენ შტატგარეშე განყოფილებები. კომიტეტი არ არის დაინტერესებული შტატგარეშე აქტივის სწორი შერჩევით და გამოყენებით. კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორად შერჩეული არიან მუშაკები, რომლებსაც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით არა აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ საკონტროლო საქმიანობაში. ზოგიერთი შტატგარეშე მუშაკი კი დიდი ხანია წასულია რაიონიდან, მაგრამ დღემდე არ არის განთავისუფლებული. კომიტეტის 62 შტატგარეშე მუშაკიდან შემოწმებებში მხოლოდ 11. მონაწილეობს.

თვითდინებაზეა მიშვებული სახალხო კონტროლის ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა, კომიტეტის დახმარება მათ მიმართ არ იგრძნობა. უფრო მეტიც, შარშან გამართული სახალხო კონტროლის ძირეული ორგანების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს რაიონის 9 ორგანიზაციაში არ გამართულა სახალხო კონტროლის ჯგუფების, საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნები. მათ შორის ორ კოლმეურნეობაზე მამაგრებული იყვნენ თვით რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე და ინსპექტორი.

რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობის ოთხი წლის მანძილზე ლ. მელიქიძეს სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა არაერთხელ მიუთითა ნაკლოვანებებზე. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა 1984 წლის მაისში მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ნაცვლად იმისა, რომ თავი დაეწყნა არსებული ჩავარდნებისაგან, კომიტეტის ხელმძღვანელობა დაადგა სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობისათვის უცხო, მანკიერ გზას, რამაც კომიტეტი სავალალო შედეგამდე მიიყვანა.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ რაიონული კომიტეტის მთელი შემადგენლობა არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, შეეგუა პასიურობის, უმოქმედობის ატმოსფეროს, რაიონული კომიტეტის არც ერთმა წევრმა არ გამოიჩინა პრინციპულობა, არ აღიმაღლა ხმა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ასპინძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის საქმიანობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები იმის შედეგიც არის, რომ უკანასკნელ პერიოდში შესუსტდა მის მიმართ რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო, საერთო და სხვა განყოფილებების, მშრომელთა სახიერებისა და წინადადებების ბიუროს კონტროლი და დახმარება.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელების საქმეში სახალხო კონტროლის ასპინძის რაიონული კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებად მიიჩნია.

კომიტეტის დადგენილებით სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის საქმიანობის ჩაშლისათვის, სიყალბის, თვალისახვევისათვის ასპინძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ლ. შ. მელიქიძე მოიხსნა სამუშაოდან, ხოლო ამ კომიტეტის ინსპექტორი ზ. კ. რიჟამაძე განთავისუფლდა თანამდებობიდან.

რესპუბლიკურმა კომიტეტმა ასპინძის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტისაგან მოითხოვა განაზორციელოს ქმედითი ღონისძიებანი მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების დროული გამოსწორების, მუშაობის მანკიერი სტილის დაძლევის უზრუნველსაყოფად, ძირეულად გარდაქმნას მთელი შემდგომი საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, „სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დადგენილების შესაბამისად.

ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ერთსა და იმავე დროს კაცი საავადმყოფოშიც იწვეს და ჩაის პლანტაციებშიც ტრიალებდეს, სამკურნალო პროცედურებსაც ღებულობდეს და ნაზი დუყვიათი კალათსაც ზედიზედ ავსებდეს?

თურმე ყოველივე ეს შესაძლებელი ყოფილა, ყველგან თუ არა, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მაინც. როგორ? სრულიად უბრალოდ! მაგალითად, მე-10 ბრიგადის წევრი კ. ცაავა შარშან თითქმის მთელი თვის მანძილზე 19 იანვლისიდან 12 აგვისტომდე ავად იყო და გეგეჭკორის ცენტრალური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში იწვა.

მაგრამ კოლმეურნეობის დოკუმენტებში თუ ჩავიხედავთ, ვხვდებით, რომ სწორედ ამ დღეებში მას ჩაის ფოთლის კრეფისას 361 მანეთი გამოუმუშავებია. აღარ იცი, ვის ერწმუნო, საავადმყოფოს თანამშრომლებს თუ ბრიგადისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს?

ერთი კია. კ. ცაავას მიმართ ასეთი „შეცდომა“ თუ „გაუგებრობა“, იდრეც დამართიათ. მაგალითად, 1985 წლის მაისში მისთვის ერთსა და იგივე დღეებში ვითომდა გამომუშავებული ორი ტონა ფოთლიდან 361 მანეთი ანგარიშებულა, ხოლო 1986 წლის ივლისში ერთ ოჯახზე ვინ ჩივის, ერთი მაგიდაც კი არ გაიმეტა, ორ ოჯახზე ერთ ოჯახზე ინახებოდეს, ამ დროს კი სარდაფში სინესტისაგან ფუჭდება შარშან ჩამოწყრილი დიდძალი ავეჯი.

სახალხო კონტროლიორები დაეჭვდნენ, რომ სასტუმროს ზოგიერთი მუშაკი ბოროტად სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და ცდილობს არაკეთილსინდისიერი გზით, უშრომელი შემოსავლით გაისქელოს ჯიბე. სახალხო კონტროლიორებმა დაიწყეს კიდეც მათ წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ დირექტორის მხარდაჭერას ვერა და ვერ მიაღწიეს. მაგალითად, შემოწმების დროს მე-6 სართულის მორიგეს ი. კულუმბეკოვას სახალხო კონტროლიორებმა 10 ხელი ნახმარი თეთრეული აღმოუჩინეს. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით კი მას ამდენი ღამისმთეველი არ უნდა ჰყოლოდა.

ჯგუფის თავმჯდომარემ ე. მახრინამ ეს სასტუმროს დირექტორს მოახსენა და სათანადო ზომების მიღება სთხოვა, მაგრამ ვ. თედეევმა ეს ამბავი არაფრად ჩააგდო, დამრღვევებისათვის კი და მეტი კაცდღეც დაურიცხავთ. რითაც საშუალება მიუცია პენსიის გადასაანგარიშებლად სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებაში გადიდებული ხელფასის ცნობა წარედგინა, რომლის საფუძველზეც მისთვის მაქსიმალური ოდენობის პენსია უნდა დაენიშნათ.

მეორე უცნაურობაც არის თვალში საცემი — ზოგიერთი კოლმეურნისათვის ვითომდა ერთ დღეს შესრულებული სამუშაოს მიხედვით 100 მანეთზე მეტი დაურიცხავთ. მაგალითად, მე-11 ბრიგადაში ამოძირკვული და შეგროვილი ფესვების გამოტანისათვის მ. კვარაცხელიას ერთ დღეში 101 მანეთი და 10 კაპიკი გამოუწერეს, იმავე დღეს მ. ფულარიას 112 მანეთი და 15 კაპიკი გამოუმუშავებია, თანაც სხვადასხვა ბრიგადაში. ასეთი ფაქტები სხვაც ბევრია.

თუმცა ამ უცნაურობას სწრაფად აეხდება ფარდა, თუ საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელების მიერ შედგენილ გაანგარიშებებში ჩავიხედავთ. იმ დღეებში ესა თუ ის სამუშაო ნამდვილად შესრულებულა, მაგრამ არა ზემოხსენებული პირების მიერ, არამედ მათი ოჯახის წევრების მონაწილეობით. ეს განსაკუთრებით საპენსიო ასაკს მიღწეული კოლმეურნეების მიმართ ხდება, რითაც ხელოვნურად იზრდება მათი ანაზღაურება და გადიდებული პენსიის მიღების საშუალებაც იქმნება.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა კოლმეურნეობის ხარჯზე ასეთი გულუხვობისათვის, წამატებებისა და თვალისახვევისათვის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ლ. წულაიასა და მთავარ ეკონომისტს დ. ხურცილავას გამოუცხადა სასტიკი საყვედური (მთავარი ბუღალტერი ჰ. წურწუმია კოლმეურნეობის გამგეობამ ადრე გაათავისუფლა თანამდებობიდან). დაისაჯნენ კოლმეურნეობის სხვა მუშაკებიც.

ალბათ, ახლა მაინც მოეღება ბოლო კოლმეურნეობის სახსრებში მოურიდებელ ხელის ფათურს!

ᲒᲣᲚᲣᲮᲕᲝᲑᲐ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲒᲠᲗᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ

Გ. ᲛᲔᲚᲔᲚᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე.

Ლ. ᲮᲔᲠᲒᲘᲜᲘ,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

უპასუხისმგებლოდ, სიყალბის გზით

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲐᲕᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲐᲜᲘᲭᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ.

Მ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ.

(მოხსენებიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე).

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის იმ საწარმოთა შორის, სადაც წლევანდელი 1 იანვრიდან შემოღებულია პროდუქციის სახელმწიფო მიღება, არის რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანაც. როგორ მუშაობს მისი კოლექტივი ახალ პირობებში? როგორია გარდაქმნისა და გაანალიზების ამ პასუხსაგებ ეტაპზე საწარმოს სახალხო კონტროლიორთა როლი და ამოცანები? აი რა კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი ამ დღეებში გამართულ ქარხნის სახალხო კონტროლიორთა კრებას, რომელიც განიხილავდა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად მომავალი მუშაობის ამოცანებს.

სახმიღება ყოველი კოლექტივის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა და, ბუნებრივია, მას სახალხო კონტროლიორები აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს.

ამშენებლებმა ახლებურად მუშაობისათვის მზადება მარშან, აგვისტოში დაიწყეს, გულდასმით აწონ-დაწონეს მდგომარეობა, თავიანთი შესაძლებლობანი, შეიმუშავეს ხარისხის გაუმჯობესების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, გადაამუშავეს საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, ზოგიერთ ტექნოლოგიურ პროცესში ცვლილებებიც შეიტანეს, დანერგეს ახალი კონსტრუქციები და ხელსაწყოები. მასალებისა და მაკომპლექტებელი კვანძების მომწოდებლებსაც შეეხმიანნენ. მათ პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მიწოდების გრაფიკის ვადების დაცვაც მოსთხოვეს.

1986 წელი ქარხანამ თითქოსდა ურიგო საწარმოო მაჩვენებლებით როდი დაამთავრა, შესრულდა პროდუქციის რეალიზაციისა და საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები. მაგრამ სახელმწიფო მიღების მხრივ მდგომარეობა არცთუ დიდად სახარბიელოა.

სახმიღების ეტაპობრივი დანერგვების გრაფიკით ოქტომბერში 434 ათასი მანეთის ნაწარმი უნდა წარედგინათ, ფაქტობრივად კი არაფერი არ წარუდგენიათ, ნოემბერში 527 ათასი მანეთის ნაცვლად 222 ათასი მანეთის პროდუქცია წარადგინეს, სახმიღებამ კი მხოლოდ 36 ათასი მანეთის პროდუქცია ჩაიბარა, დანარჩენი დაიწუნეს, დეკემბერშიც 93 ათასი მანეთის პროდუქცია იქნა დაწუნებული.

არც ახალი წლიდან აღებული სტარტი იძლევა მდგომარეობის გამოსწორების დიდ იმედებს. იანვრის პირველ დღეებში თითქმის არაფერი წარუდგენიათ სახელმწიფო მიღებაზე, 21 იანვრისათვის კი 352 ათასი მანეთის პროდუქციაა მიღებული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, გეგმა მილიონ 821 ათასი მანეთის ნაწარმის წარდგენას ითვალისწინებდა და, მეორეც, მხოლოდ პროდუქციის 50 პროცენტი იქნა მიღებული პირველი წარდგენისთანავე. დანარჩენი გადასამუშავებლად დაუბრუნეს და მხოლოდ დეფექტების გამოსწორების შემდეგ მიიღეს.

როგორც ვხედავთ, ამწესაშენებელ ქარხანაში პროდუქციის სახელმწიფო მიღება კი დაიწყო, მაგრამ ხარვეზებით, რასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს.

ისინი კი ნათლად გამოიკვეთა როგორც მომხსენებლის — სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის დ. თხელიძის, ისე კამათის მონაწილეთა გამოსვლებში. განსაკუთრებულ პრეტენზიები წაუყენეს თვით სახალხო კონტროლის მეთაურ ჯგუფს, საამქროების ჯგუფებსა და საგუშაგოებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრეს შესაფერი როლი და ადგილი სახელმწიფო მიღების ორგანიზაციაში.

აბა მოვუსმინოთ სამჭედლო-საწნეხი საამქროს ზეინკალს, სახალხო კონტროლის საამქროს ჯგუფის წევრს ი. გრებნიუკს:

— ახალ პირობებში, როდესაც ქარხანაში ხორცილდება პროდუქციის სახელმწიფო მიღება, სისტემატური კონტროლის გასაწევად უეჭველად მიზანშეწონილი იქნება ლითონის გამოჭრის უბანზე შეიქმნას სახალხო კონტროლის საგუშაგო, ვინაიდან პროდუქციის სახელმწიფო მიღების რგოლებს შორის ეს უბანი ერთ-ერთი პირველია და გამოჭრის ხარისხზე, მის სიზუსტეზე დიდად არის დამოკიდებული საბოლოო პროდუქციის ხარისხი. ამ უბანზე საგუშაგოს შექმნა მით უფრო აუცილებელია, რომ ბოლო დროს ლითონის გამოჭრის დროს იყო დადგენილი სტანდარტებიდან გადახრის შემთხვევები.

საკმაოდ კრიტიკული იყო სამსხმელო საამქროს შემომჭრელის, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრის ნ. ზედგენიძის გამოსვლა. როგორც მან აღნიშნა, სამსხმელო საამქროს მეტად მძიმე დრო დაუდგა, ბევრი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიების განხორციელების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესის არსებითი გაუმჯობესება, ამის შედეგად კი გამოშვებული პროდუქციის ხარისხი უმეტეს შემთხვევაში ვერ უპასუხებს სახელმწიფო მიღების მოთხოვნებს. ამაში კი გარკვეული ბრალი საამქროს სახალხო კონტროლიორთა წილადაც მოდის, მათ სათანადო კონტროლი რომ დაეწესებინათ თუნდაც ავტომატური ხაზის გაშვების სამუშაოთა მიმდინარეობისადმი, დღეს ბევრი საჭირბოროტო საკითხი, უეჭველად, აღარ წამოიჭრებოდა.

თითქმის ანალოგიური პრეტენზია გამოითქვა საამწყობო საამქროს ზეინკლის, საამქროს პარტბიუროს მდივნის რ. შოშიტაშვილის გამოსვლაშიც.

— საამქროთა ჯგუფები ცალ-ცალკე, შეუთანხმებლად მოქმედებენ, კონტროლი არ ეწევა საამქროთაშორისო მიწოდებებს. მაგალითად, სამჭედლო-საწნეხი საამქროდან დროზე არ მიწოდეს ნაწილები ამწყობ საამქროს, რამაც დაადგიანა მათი მექანიკური დამუშავება, ხშირია წყვეტილობა ნახშირმჟავა გაზის მიწოდებაშიც, რაც აფერხებს ელექტროშედუღების სამუშაოებს. ყოველივე ეს კი არასაწარმოო მოცდენებს იწვევს.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ სახალხო კონტროლიორები ჯერ კიდევ ნაკლებად იბრძვიან ახალი დანადგარებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, დასახელეს ფაქტები, როცა კარგა ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა ძვირადღირებული ბ. ულ ი, მაგრამ დიდმწარმოებლური პროგრამული მართვის აგრეგატული ჩარხების დროული დანერგვა. ეს კი, ცხადია, დიდად შეუწყობდა ხელს ახალ პირობებში გამართულ მუშაობას.

ამა თუ იმ საწარმოს გარდაქმნა, ხარისხიანი პროდუქციის გამოშვების დაჩქარება შეუძლებელი იქნება, თუ არ მოწესრიგდა, ზუსტ ვადებში არ მოხდა ქვეყნის სხვა სამრეწველო საწარმოებიდან მაკომპლექტებელი ნაწილებისა და კვანძების მოწოდება. ამ მხრივ კი რუსთავის ამწეშენებლებს შესაფერი არაფერი აქვთ.

თუმცა არა თუ სხვები, ჩვენი რესპუბლიკის, თვით რუსთავის საწარმოებიც არ იწუხებენ დიდად თავს ქარხნის დროული მომარაგებისათვის. მათ შორის არიან ცხინვალის მექანიკური ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის ქარხანა „ელექტრომრავა“ და სხვ. სამწუხაროა, რომ ისინი არა მარტო აგვიანებენ სათანადო ნაწილების მოწოდებას, არამედ ხშირად უხარისხო ნაწარმსაც აგზავნიან.

ახლებურად მუშაობის გზაზე დამდგარი ქარხნის მთელი კოლექტივის, მათ შორის სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის მრავალ საჭირბოროტო პრობლემებზე გამახვილდა ყურადღება „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის თავმჯდომარის ი. კორტავას, სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის ყოფილი თავმჯდომარის, ახლა უკვე პროდუქციის სახელმწიფო მიღების ჯგუფის თავმჯდომარის რ. ხოშტარიას, პარტბიუროს მდივნის რ. გზირიშვილის, ქარხნის დირექტორის ა. სიროადის, რუსთავის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ს. არეშიძის გამოსვლებში.

დაყოვნება აღარ შეიძლება, დროა სახალხო კონტროლიორებმა ზუსტად განსაზღვრონ თავიანთი ადგილი დიად გარდაქმნაში, გადამჭრელი ზომები მიიღონ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათი მოვალეობაა არა მარტო აღრიცხონ სტანდარტებიდან გადახვევის, წუნის ფაქტები, არამედ ქარხნის სპეციალისტებთან ერთად ჩაუღრმავდნენ მისი წარმოქმნის მიზეზებს, გამოავლინონ, სწრაფად აღკვეთონ ისინი. სახელმწიფო მიღებაზე წარდგენილი პროდუქციის დაბრუნების ყოველი შემთხვევა საფუძვლიანად უნდა გააანალიზონ, რათა თავიდან აიცილონ წუნის შემთხვევები. ამიტომაც ყოველი სახალხო კონტროლიორი, რომელ უბანზეც უნდა მუშობდეს, რა თანამდებობაც უნდა ეჭიროს, პირველ რიგში ხარისხის ამაღლებაზე, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაზე უნდა ზრუნავდეს.

დღეს სახალხო კონტროლის თვალი ყველგან უნდა სწვდებოდეს, ამიტომაც მოითხოვეს კრების მონაწილეებმა, რომ ისეთ განსაკუთრებით პასუხსაგებ უბნებზე, როგორიც არის ამწეების დაკომპლექტება და ღუბეა, ბლოკური სისტემების მექანიკური წყობა, ლითონის გამოჭრა, შეიქმნას სახალხო კონტროლის საგუშაგოები, გაფართოვდეს და გაძლიერდეს მეთაური ჯგუფის პროდუქციის ხარისხის კონტროლის სექტორი, გააქტიურდეს სოჭალოობის საშუალებათა გამოყენება.

კრების მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს ყველა იმ საწარმოს სახალხო კონტროლიორებს, რომლებიც მათს ქარხანას მაკომპლექტებულ კვანძებსა და დეტალებს აწვდიან, და სთხოვეს მათი პროდუქციის ხარისხის ამაღლებაც და მოწოდების გრაფიკის მკაცრი დაცვაც.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, „ჩვენ ჯერ კიდევ გარდაქმნის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით, ძირითადი და უყოყმანოდ რთული სამუშაო წინ გვიძევს. საჭიროა მტკიცედ, ნაბიჯნაბიჯ, უყოყმანოდ განვაგრძოთ წინსვლა, სიღად ვაფასებდეთ ნაღვაწს, არ გვაშინებდეს დაშვებული შეცდომების, გამოსწორება, უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის ახალი ხერხები და მეთოდები, ვიღვაწოთ დასახული მიზნებისაკენ უცილობელი წინსვლისათვის“. სახელმწიფო მიღება გარდაქმნის, დაჩქარების კურსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და მისი წარმატებით განხორციელება რუსთაველ ამწეშენებელთა, ქარხნის სახალხო კონტროლიორთა საბრძოლო ამოცანაა.

Ვ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲯᲒᲣᲤᲘ ᲡᲐᲮᲛᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ახლანდელ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური ამოცანაა მომჭირნეობის რეჟიმის თანამიმდევრული განმტკიცება, რაც სოციალისტური წარმოების ინტენსიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. განსაზღვრულია აგრეთვე, რომ რესურსებზე მოთხოვნილების მატების 75-80 პროცენტი მათი ეკონომიის ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდეს, ეროვნული პროდუქტის ენერგოტევადობა კი 1,4-ჯერ შემცირდეს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ენერგეტიკული რესურსების მოპოვება, წარმოება და კვლავწარმოება დღითი დღე მეტ სიძნელეებს აწყდება, ძვირდება, მარაგი მცირდება და ღარიბდება, მაიზე მოთხოვნილება კი იზრდება. ამიტომ მათი ეკონომიური, მომჭირნე ხარჯვა-გამოყენება სადღეისო და აქტუალური ამოცანაა.

აღნიშნული ამოცანის უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 23 მაისის დადგენილება „1986-1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდში ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ძირეული გაუმჯობესების შესახებ“, სადაც გამოიკვეთა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების ადგილი და როლი ამ ამოცანის შესრულებაში. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაეკალა მოაწყონ მასობრივი შემოწმებები და უზრუნველყონ ამ საქმეში საწარმოო კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტიური მონაწილეობა. ამასთან ფართოდ ჩაბან შემოწმებაში მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მართვის ორგანოების, პროფკავშირული ორგანიზაციების, „კომკავშირული პროექტორის“, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

შემოწმება მიზნად ისახავს დაადგინოს სათბობის, სიობრური და ელექტროენერგიის ეკონომიის, აგრეთვე მეორეული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების დაკალებების შესრულების მდგომარეობა, გამოავლინოს, რა თქმა უნდა, მათი აღმოფხვრის მიზნით, ენერგორესურსების არარაციონალური და მფლანგველური ხარჯვის ფაქტები, აამოქმედოს რესურსებიანი, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სათბობისა და ენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლაში სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ფართო მონაწილეობისა და ამ ბრძოლაში კონკრეტული დადებითი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით 1987 წლის პირველი ნახევრის, ესე იგი იანვარ-ივნისის განმავლობაში ყველგან მოეწყოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მასობრივი შემოწმება. შემოწმდება ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა სახლებს“, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სათბობისა და ენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლაში სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ფართო მონაწილეობისა და ამ ბრძოლაში კონკრეტული დადებითი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით 1987 წლის პირველი ნახევრის, ესე იგი იანვარ-ივნისის განმავლობაში ყველგან მოეწყოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მასობრივი შემოწმება. შემოწმდება ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოსა და ორგანიზაციის, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა სახლების გამოყენების გაუმჯობესების აქმეულ გამოუყენებელი რეზერვები, დაადგინოს ყველა სახეობის სათბობისა და ენერგიის ზომაზე მეტი დანაკარგების, აგრეთვე მათი ეკონომიის დასახულ ღონისძიებათა შეუსრულებლობის მიზეზები, ღრმად გაანალიზოს ისინი და მოამზადოს წინადადებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მასობრივი შემოწმების წარმატებული დაწყებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოამზადა და ყველა რეგიონულ კომიტეტს დაუგზავნა სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების ხსენებული დადგენილებები, მეთ

ᲘᲧᲐᲕ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲐᲯᲒ

(დასასრული)

ქალთა საბჭოებისა და პროფკავშირების მუდმივი თანამშრომლობის მეშვეობით უფრო ეფექტურად უნდა წყდებოდეს ქალების შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებასთან, მათი პროფესიული ოსტატობის სრულყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. საჭიროა აგრეთვე დამყარდეს მჭიდრო ურთიერთმოქმედება ქალთა შრომისა და ყოფის, დედობისა და ბავშვობის დაცვის საკითხების დეპუტატთა მუდმივ კომისიებთან.

მომსახურების სფეროს განვითარების, საოჯახო შრომის გადაყვანისთვის დასახული ღონისძიებები ჯერჯერობით ნელა ხორციელდება. ამის შედეგად დრო, რომელსაც ქალი ოჯახის გაძღოლას ანდომებს, პრაქტიკულად ჯერ კიდევ ერთი სამუშაო ცვლის ტოლია. მაგრამ ვაჩერობასა და საზოგადოებრივ კვებაში დასაქმებულთა 76 პროცენტი ხომ ქალია. მასასადამე, წარმატებასაც საქმისადმი მათი პასუხისმგებლური, პატიოსანი დამოკიდებულება განსაზღვრავს. ბევრი რამ, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ქალთა საბჭოებზეც, მათ შეუპოვრობაზე, ორმხრივ ხელობაზე, დაუცხრომლობაზე. აგრეთვე მათ უნარზე აქტიურად ჩაებან დასახლებისები და პენსიონერი ქალები ამ დარგის მუშაობაში. სამაბისოდ კარგი მესაფლეტლობები ისახება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ მიღებული კანონის მეშვეობით.

ჩვენს ქვეყანაში დედობა ყურადღებით და პატივით არის გარემოსილი, თქვა შემდეგ ვ. ვ. ტერეშკოვამ. 400 ათასზე მეტ ქალს მიენიჭა „გმირი დედის“ სპატიო ფრდება. ეს დედის შრომის დაფასებისა და ალიარების, გამოლვიძების. მაგრამ ჯერ კიდევ არის მიდრეკები, რომლებიც ქალებს ხელს უშლის შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა. შეუხამონ დედობას. ამ მიზეზებს შორის არის სამუშაო დღის შეღავათიანი რეჟიმისა და შინ შრომის არასაკმარისი გამოყენება. მწვავედ დგას ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის საკითხი.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, აღნიშნა მომხსენებელმა, ქალთა საბჭოების ზრუნვა ოჯახის განმტკიცებისთვის, ოჯახში დიდი ზნეობისა და ურთიერთპატივისცემის ვითარების შექმნისათვის. ჩვენ ვესაწრფვით იმას, რომ ქმარი და ცოლი თანასწორად ასრულებდნენ ოჯახურ მოვალეობებს, აგებდნენ პასუხს შვილების აღზრდისათვის. მაგრამ ხომ თვით ბუნებამ დააჯილდოვა ქალი სინაზით, თანადგომის უნარით, სიფაქიზით, სულიერი სილამაზით. სწორედ ეს თვისებები განმტკიცებს განსაკუთრებით ოჯახს.

მრავალშვილიანი ოჯახების, ახალდაქორწინებულების, ინტერნაციონალური, მოქალაქეობრივი და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების, ხანდაზმულების დახმარება, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ქალთა საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სფერო.

ჩვენს ზრუნვას საჭიროებენ ბავშვთა სახლებისა და ინტერნატების ალსაზრდელები. ისინი სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე არიან. მაგრამ განა ყოველთვის არ ისინი ისინი გარემისილი მათთვის ესოდენ საჭირო ალერსით? „ეფექტრობთ, ქალთა საბჭოებს შეუძლიათ დაუწესონ მათ შეფობა დეკანოზი: „ბავშვთა სახლებს — ჩვენი დედობრივი ზრუნვა!“.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში ქალების მონაწილეობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მესამედს და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ნახევარს ქალები შეადგენენ. ბევრ მათგანს უკავია ხელმძღვანელი პოსტები პარტიულ და საბჭოთა აპარატებში, სამეურნეო ორგანოებში, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებებში.

მაგრამ ქალთა კადრების დაწინაურების პრობლემა არსებობს და მის შესახებ სრული პრინციპულობით თქვა ს.კპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე. პლენუმს პრინციპული მნიშვნელობის საკითხად მიიჩნია ქალების დაწინაურება ხელმძღვანელ პოსტებზე მართვის ყველა დონეზე და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. სიროიულად უნდა მოვიკიდოთ ხელი ქალთაგან კადრების რეზერვის შექმნას, უკეთ გამოვიყენოთ ხელმძღვანელი მუშაკების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ, თქვა მომხსენებელმა, ქვეყანაში გაიმალა მუშაობა შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ქალთა საბჭოების ერთიანი სისტემის შესაქმელად.

წარმოადგენს რა საზოგადოებრივ ფორმირებას, ქალთა საბჭოების სისტემა იმოქმედებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ისარგებლებს ყველა უფლებით, რომლებსაც სსრ კავშირის კონსტიტუცია ანიჭებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

პრესაში გამოქვეყნდა დროებითი დებულება ქალთა საბჭოების შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია ქალთა საბჭოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მათი უფლებები და მოვალეობები. განხილება უფიქრთოეს საყოველ ზე მიმდინარეობდა. როგორც ვამოხმაურებებმა გვიჩვენა, დებულებამ საერთო მოწონება პოვა.

შეუძლებელია ქალთა საბჭოების ერთი იდეალური სქემის შექმნა, რომელსაც ყველა გამოიყენებდა ნიშნად. განსხვავდება პირობები, რომლებშიც ისინი მუშაობენ — საწარმოებში თუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საბჭოო გარნიზონსა თუ სამეკნიერო დაწესებულებაში, იმ ქალთა შორის, რომლებიც ფიზიკურად ან გონებრივად შრომობენ. მაგრამ სწორედ ის არის დემოკრატიული საწყისებზე დამყარებული ნამდვილად მასობრივი მოძრაობის ძალა, რომ იგი დაწესებითს რეგლამენტაციას და წვრილმან მეურვეობას არ საჭიროებს.

რაც უფრო ფართოა, რაც უფრო მრავალფეროვანია მათი მუშაობის ფორმები, მით უფრო სრულად არის გათვალისწინებული მშრომელი ქალების რეალური ინტერესები, მით უფრო აქტიურად არიან ჩაბმული ისინი თვითმმართველობის პროცესში. კაცმა სახელმწიფოებრივი სიმაღლიდან უნრნარეს ყოველსა თავის მოქმედებას უნდა გადახედოს, გაიცნობიეროს არა მარტო თავისი უფლებები, არამედ მოვალეობებიც, სხვას არ გადაბაროს ის, რისი გაკეთებაც შეუძლია თვითონ და კიდევაც უნდა გააკეთოს. წარმოქმნილი პრობლემების დიდი უმრავლესობა შეიძლება ადგილებზე გადაიჭრას. ქალთა საბჭოებს უფლებებიც დიდი აქვთ, და პასუხისმგებლობაც. ამიტომ მათ უნდა მეთაურობდნენ იდეურად გამოწრთობილი, აქტორიტეტული, ენერგიული, გულისხმიერი ადამიანები. ისინი, ვისაც უნარი შესწევს მტკიცედ იბრძოლოს სოციალური სამართლიანობისათვის, გაიყოლიოს სხვები, გულთან ახლოს მიიტანოს სხვისი გასაჭირი. აქტივისტი ქალების პირად თვისებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალთა საბჭოების სისტემის პრაქტიკულად ყველა რგოლში მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე წარმოებს.

ძალზე საჭიროა, რომ ყველა დონის ქალთა საბჭოებმა განსაზღვრონ თავიანთი მთავარი ამოცანები ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნასთან დაკავშირებით.

გარდაქმნის გეგმებს, ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის ბაზაზე, ჩვენ ვიმოქმედებთ ეკონომიკურ ბერკეტებზე, ეკონომიკურ ინტერესებზე, ეკონომიკურ ანგარიშზე, ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, ეკონომიკურ ინიციატივა

გამოფენა მუშაობას განაგრძობს

ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია მოსკოვში პოკლონის მთაზე გამარჯვების ძეგლის მთავარი მონუმენტის საუკეთესო საესკიზო პროექტის საკავშირო ღია კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენამ. ორი კვირის მანძილზე დედაქალაქის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოწყობილი ექსპოზიცია დაათვალიერა 40 ათასზე მეტმა კაცმა.

განხილვის საყოველთაო-სახალხო ხასიათის გათვალისწინებით მიღებულია გადაწყვეტილება გამოფენის მუშაობის ვადა 15 თებერვლამდე გაგრძელდეს. ყიური ვარაუდობს ამ დროისათვის გამოიტანოს საბოლოო შეფასება — გამოაცხადოს რვა გამარჯვებული პროექტი. შემდეგ დედაქალაქის ერთ-ერთ დარბაზში განთავსდება მოეწყოს პრემირებული ნამუშევრების ჩვენება. **(საკადესის კორ.).**

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

პოეტის ახალი კრებული



გამოვიცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებისა და პოემების ახალი კრებული.

ავტორისეულ წინათქმაში ვკითხულობთ: „ეს ლექსები და პოემები ჩემი პოეტური ყოფის ერთი მთლიანი ჯაჭვის რამდენიმე რგოლია.

უპირველეს ყოვლისა, წიგნის დედაბოძი 1984 წელს გამოცემული კრებული „მე და მე“ გახლავთ, რომელიც პრემიით აღინიშნა, ამას დამატება სხვადასხვა დროს დაწერილი ჩემთვის გამორჩეული ლექსები.

მკითხველს მხოლოდ ძველსა და ახალ დროში რომ არ ეტრიალა, კრებულში შეეტანე უახლესი დროის ლექსები და პოემები, რომლებიც ბოლო ორი წლით თარიღდება. ესაა, რაც შემიძლია მოგახსენოთ ჩემი ახალი წიგნის ირგვლივ, დანარჩენი მკითხველისათვის მიმინდვია“.

წიგნის რედაქტორია ი. შაიმელაშვილი, მხატვარი — ნ. მალაზონია.

სიცილი და ცრემლი კაცისა

„მეგიოლინე სახურავზე“ — თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი

სიმართლე უნდა ითქვას, დიდი ხანია ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს არ გამოუწვევია ისეთი ცხოველი, ფართო ინტერესი, როგორიც გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო არტისტის, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გ. ლორთქიფანიძის დადგმულმა სპექტაკლმა „მეგიოლინე სახურავზე“. სპექტაკლის საფუძველია პოპულარული ებრაელი კლასიკოსის შოლომ ალეიხემის ცნობილი ნაწარმოების „მერძევე ტევიეს“ მიხედვით შექმნილი ამერიკელი კომპოზიტორის — ჯერი ბოკის და დრამატურგ ჯოზეფ სტაინის მიუზიკლი. (თარგმნა სპექტაკლის რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ).

დღეს, თავისი ბიოგრაფიის ახალ ეტაპზე, თეატრმა გვიჩვენა არა მარტო ტალანტები, დაფარული შესაძლებლობანი, არამედ მყარი, მტკიცე მხატვრული და მოქალაქეობრივი პოზიცია.

გ. ლორთქიფანიძე მკაცრი და უკომპრომისო შემოქმედია. მან ირწმუნა თეატრი, რომელშიც მოვიდა, და თეატრის კოლექტივიც მის მიმართ ნდობითა და რწმენით განიმსჭვალა. სწორედ ამ შემოქმედებიმა თანადგომამ მოგვცა მშვენიერი შედეგი.

„მეგიოლინე სახურავზე“ საინტერესოა არა მარტო ჯერი ბოკის შესანიშნავი, ებრაულ ხალხურ მელოდიებზე დაფუძნებული მუსიკით, არამედ სერიოზული ლიტერატურული მასალითაც. ნაწარმოებს საფუძვლად უდევს მსუბუქ ფორმაში გამოვლენილი საგულისხმო აზრები, მსჯელობები უბრალო ადამიანის ბედზე საზოგადოებაში, რომელშიც ძალმომრეობა და უსამართლობა გაბატონებულა.

გ. ლორთქიფანიძის სპექტაკლი მკაცრ რიტმულ მონახაზს ემორჩილება, სცენიდან სცენაზე გადასვლა, სიუჟეტის მოულოდნელი შემობრუნება — ყველაფერი ორგანული, მართალი და ბუნებრივია.

რეჟისორი საუცხო მიზანსცენების საშუალებით (მას უთუოდ დიდად ეხმარება საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ი. გეგეშიძის ფერადოვანი და გამომსახველობით მდიდარი სცენოგრაფია), თავისუფლად რთავს მოქმედებაში ამ გულს, რომელიც ჭეშმარიტი შთაგონებით ასრულებს სიმღერა „ლებაიმს“ (ქორმეისტერი ა. გუგუნავა). მასობრივი სცენები — ქორწილი, დღესასწაული თუ ბაზრის სცენები მეტყველია, ყოველ მოქმედ პირს თავისი აზრობრივი ამოცანა აქვს. მასობრივ სცენებში ყველა ინდივიდუალიზებულია, მოჩანს ცალკეულ ადამიანთა ხასიათები. ამიტომაც არის ასეთი ძლიერი ფინალური სცენა, როცა ბოქაული დაბის მცხოვრებთ ატყობინებს, რომ მათ ორ-სამ დღეში უნდა დატოვონ ადგილი, სადაც მრავალი წელი ცხოვრობდნენ, და გადასახლდნენ იქ, სადაც ხელისუფლება უბრძანებთ. დეენილი, დამცირებული, მაგრამ ნიჭიერი და მომმომენი ებრაელი ხალხის ტრაგედიამ, რომელიც თვიდანვე ეღერდა სპექტაკლში, წინა პლანზე გადმოინაცვლა. ერთიანი ძალით შეკრული გაუტეხავი ხალხი ამაყად ხვდება ახალ უბედურებას.

ლატაკი მევიოლინე (მ. რიაზინსკაია) დგას სახურავზე და დასცქერის ღარიბ დასახლებას. მღერის მისი ვიოლინო, მღერის მხიარულ და სევდიან, ცრემლიან სიმღერებს. ვიოლინო თითქოს ტევიეს, მისი ხალხის სულია უძღეველი და უკვდავი, როგორც თვით სიცოცხლე.

გ. ლორთქიფანიძე ამ სპექტაკლში მთლიანად იყენებს სცენის სივრცეს, მის სიგრძე-სიგანეს თუ სიმაღლეს. მიზანსცენები განლაგებულია ცენტრში, ნაპირებზე, ეთვგარ ნიშებში, ამიტომ იქმნება ერთიანი, დასახლებული დაბის სრული ილუზია.

რეჟისორის ხელწერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა აქტიორისადმი ინტერესი. ამ დადგმაშიც ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი აქტიორული მიღწევები. აღსანიშნავია ისიც, რომ როლების უმრავლესობას ორი-სამი მსახიობი თამაშობს, რაც, სამწუხაროდ, იშვიათობა გახდა.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ბეგალიშვილი, რომელიც მთავარ როლი — ტევიეს ახასიათებს. იგი ისე შეესისხლხორცა თავის გმირს, თითქოს ცხოვრობსო სცენაზე. ტევიეს სულიერი მშვენიერება მსახიობმა იგრძნო მის კოლა ბრიუნინისეულ ოპტიმიზმში. ბენეგბით ბრძენი, მშრომელი ადამიანი ზშრად მიმართავს თალმუდს, ეეედრება იეოვას; გ. ბეგალიშვილის ტევიეს თანა სდევს ირონიაც — რა გულმოჩამწყდომია მისი დიალოგები ღმერთთან, დამაჯერებელია ფსიქოლოგიური გადასვლები სასოწარკვეთილებიდან იმედიან განწყობაზე. ეშმაკურად მოკუტუტული თვალი, თავისებური პლასტიკა, მუსიკალობა, როლის ვოკალური პარტიის ემოციური ღელვრადობა — ყველაფერი ბ. ბეგალიშვილის ჭეშმარიტ გამარჯვეული და ქალურია კ. ჩხეიკაძის ცვიტლი, უფროსი ქალიშვილი. იგი კოპწიაკ არის, მოხერხებული, მისი გარეგნული ჰაეროვნება ფარავს საკმაოდ ძლიერ ნებისყოფას. თავისი საქმროს, პერჩიკის იდეებით არის გატაცებული მ. ცაგარელის გოდლი, რომელიც ტოვებს ოჯახს, მამას, რათა გადასახლებაში გაჰყვეს საყვარელ ადამიანს. მამისებურ მტკიცე ხასიათს აავლენს ხავაც; ნ. ქურხული ხაზს უსვამს თავისი გმირის ინტელიგენტობას, მის უკომპრომისობას.

ებრაელი ჰაბუკების თავისებურ ხასიათებს ქმნიან გ. ქემერტელიძე (მკერავი ხაიმე) და ი. ფოფხაძე (პერჩიკი). თუ ხაიმე გაბედვადი და მორცხვია, ი. ფოფხაძის პერჩიკი (თუმცა ფიზიკურად შეიძლება სუსტი და უმწეო მოგეჩვენოთ), ძლიერია თავისი შინაგანი რწმენით, თავისი მიზნით, რისთვისაც ცხოვრობს, რისიც სწამს და რისთვისაც მზად არის სიცოცხლეც გასწიროს. მსახიობი ამ როლში სადა და გულწრფელია.

მსუყე საღებავებით ხატავენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. ვასაძე მდიდარი ყასაბის ლაიზერ ვოლფის სახეს, ლ. მინდიაშვილი კი მაჭანკალ ენტას.

ოდნავ გროტესკულია სპექტაკლში ტევიეს მიერ სიზმრის გათამაშების სცენა. ამ სცენაში ენერგიული, აგრესიულიც კი არიან იმქვეყნიური ზმანებანი — ცვიტლის გარდაცვლილი ბებია (ნ. ლადიძე) და ლაიზერ ვოლფის განსვენებული ცოლი ფრუმა სარა (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ც. გურგენიძე). დანარჩენი შემსრულებლებიც — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. სალარიძე (რაზნინი), ა. დაშნიანი (მორდეხი), მენდელი (გ. ხაჩატუროვი), აბრაამი (ზ. მშვედლიშვილი), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. პიპინაშვილი (ურიადნიკი), თ. ოთარაშვილი (ფედკა) და სხვანი ქმნიან სახეებს, რომლებიც აფერადოვნებენ და აცოცხლებენ იმ მხატვრულ პანოს, ებრაელთა დაბა ანათემკას ცხოვრებას რომ ასახავს.

ამ სპექტაკლში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი მუსიკალური მხარე. მსახიობები პარტიებს ასრულებენ პროფესიულ დონეზე იმისდა მიხედვით, ვის რა ვოკალური მონაცემები აქვს, კარგად გრძნობენ ებრაული მუსიკის სტილისტიკას. საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ რეჟისორმა ჩინებულად, ეთნოგრაფიზმის გარეშე გვაგრძნობინა ებრაელთა ყოფა, მათი ადათ-წესები, გამოამეღავნა ზომიერების ნიჭი.

აღსანიშნავია ბალეტმაისტერის — საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის გ. ოდიკაძის მიერ მშვენივრად დადგმული ებრაული და უკრაინული ცეკვები, რომლებსაც არა მარტო პროფესიონალი მოცეკვავეები, არამედ თეატრის ყველა მსახიობი დაუფლებია. უთუოდ აღსანიშნავია დირიორი პ. დავითაშვილის და ო. ფერაძის დიდი მუშაობა პარტიტურაზე, კონცერტმაისტერების — რ. ელიავას, ი. ასათიანის, მ. მაჭავარიანის მუშაობა ვოკალურ პარტიებზე. ორკესტრი კარგად ეღერდა, მაგრამ დროდადრო ფარავდა მომღერალთა ხმებს, რასაც უთუოდ უნდა მიექცეს ყურადღება.

„მეგიოლინე სახურავზე“ მუსიკალიდის თეატრის უტყუარი შემოქმედებითი გამარჯვებაა. ამ სპექტაკლის ცრემლნარევ სიცილში ჩვენს წინაშე წარმოდგა ადამიანურობით გამთბარი, ოპტიმიზმით გამსჭვალული სცენური ნაწარმოები, რომელიც „ახალ იმედებს უსახავს თეატრის კოლექტივს.

ნადია ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲣᲠᲘ ᲨᲐᲛᲗᲐᲠᲘ

Ლ. ᲔᲓᲘᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კვლავ დიდთოვლობაა

ᲪᲘᲪᲘᲠ ჰაერის ტალღამ, რომელიც შავი ზღვიდან მოაწყდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას, გადაწყვიტა კვლავ შეამოწმოს რესპუბლიკის მთიანი რეგიონების მცხოვრებთა სიმტკიცე. როგორც მეტეოროლოგებმა იწინასწარმეტყველეს, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობებზე და მესხეთის ქედის განშტოებებზე დაიწყო ძლიერი თოვა. 29 იანვარს ბზიფის, კოდორის, ენგურის, ტეხურის, ცხენისწყლის, რიონის, ლიახვის, ქსნის, არაგვის სათავეებში თოვლის საფარმა კვლავ 3—4 მეტრს მიაღწია.

— საშიში ის არის, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა მ. არდიამ, — რომ ეს საფარი წარმოიქმნა წინათ უკვე მოსულ და დამკვრივებულ თოვლზე. ამრიგად, კვლავ გაიზარდა მძლავრი ზვავების ჩამოწოლის საშიროება მესტიის, ლენტეხის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში, ზვავსაშიში სიტუაცია შეიქმნა აგრეთვე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, აჭარის მთის რაიონებში, ჩოხატაურისა და ქობულეთის რაიონების მთიან ზონებში. ზვავის მოსალოდნელი ჩამოწოლის ადგილებში ვურჩევთ უახლოეს დღეებში შეწყვიტონ ავტოტრანსპორტის მოძრაობა და ადამიანების მიმოსვლა. სასურველია გაიხიზნონ იმ სახლების მცხოვრებნი, რომლებიც „თოვლის მარშრუტების“ მახლობლად დგას.

„ᲩᲔᲛᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ“

ᲐᲮᲚᲝ ეწოდება — დოკუმენტური ფილმს, რომელსაც ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით საქართველოს ტელეფილმების სტუდია იღებს.

იგი მოგვითხრობს სახელგანთქმული ფალავნის, მსოფლიო და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის ლევან თედიაშვილის დღევანდელ ცხოვრებასა და საქმიანობაზე, იმ გზაზე, რომელიც მან დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ აირჩია.

— წარსულში ჩვენ მიერ გადაღებული დოკუმენტური კინოსურათით „ჭიდაობას რა უნდა“, — გვეუბნება ფილმის დამდგმელი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, — მაყურებელს ვუამბეთ ლ. თედიაშვილის სპორტულ მიღწევებზე, ჭიდაობის გარეჯულ სკოლაზე, სადაც ფეხი იიდგა ცნობილმა ფალავანმა. ახლა კი გვინდა შევეშალნათ სპორტით ნაწრთობი ხელმძღვანელის, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის „წითელი ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის პორტრეტი. ლ. თედიაშვილის თაოსნობით ამ სოფელში სასაკეთო ძეგლები მოხდა. კოლმეურნეობა განმტკიცდა ეკონომიკურად, გაუჯობესდა მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები, შეწყდა ახალგაზრდობის მიგრაცია.

Ა. ᲜᲔᲥᲠᲔᲚᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲔᲜ ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ დილით თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო 26-ე ტურნირი დიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. აღარად შეჯიბრებაში თერთმეტი ქვეყნის 200-ზე მეტი ათლეტი გამოდიოდა. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში ჩაებნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთის, ფინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. მათ შორის არიან ოლიმპიურ ასპარეზობათა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების, ეროვნული პირველობების გამარჯვებულნი.

ცალკე გუნდად არის წარმოდგენილი საქართველოს ნაკრები.

მსუბუქი წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა პირველსავე ორთაბრძოლებში ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი ფალავნები. ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონმა. სოხუმელმა ეგია მუსიაინამ (57 კილოგრამამდე წონითი კატეგორია) 2,5 წუთში წმინდა გამარჯვება მოიოცავა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონ მაიკლ ერბისთან შეხვედრაში. მსოფლიო თასის მფლობელმა, მონღოლმა ავირმედ ენხუმ (62 კგ) ქულებით მოუგო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის პრეზიორს, კრასნოიარსკელ ანატოლი ტოლმაჩოვს. 1984 წლის ოლიმპიური ასპარეზობის გამარჯვებულმა დეივ შულცმა (74 კგ) ორ წუთში ხალიჩას გააკრა უნგრელი იანოშ ნადი. მსოფლიო ჩემპიონმა, ბაქელმა ხაზარ ისაევმა (62 კგ) სოლიდური უპირატესობით სძლია თბილისელ ვეფხია სახლთხუცესელს.

მსოფლიო ჩემპიონმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლი ზე სიკმა აშკარა უპირატესობით მოუგო შეხვედრა კიეველ იური მალიშევს. თბილისელი ზურაბ ტატუაშვილი (52 კგ) ქულებით დამარცხდა სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის მე-9 სპარტაკიადის ვერცხლის პრეზიორთან, ხარკოველ ელმან მამედოვთან შეხვედრაში.

საღამოს შეჯიბრება გრძელდებოდა, მოჭიდავენი დღეს მომდევნო წრეების ორთაბრძოლებს გამართავენ, ხვალ კი ტურნირის გამარჯვებულთა ვინობა გაირკვევა.

სილამაზის ᲤᲠᲘᲖᲘᲐᲚᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲐᲗᲘ ექსპონატი შეემატა აბაშის სარემონტო-სამშენებლო უბნის ზეინკალ-შედღუღებლის შალვა გიგინეიშვილის საოჯახო მუზეუმის ქვების კოლექციას.

როცა ამ ეზოს ხეტრბლს გადაბიჯებ, თავი ზღაპარში გეგონება: საოცარი გოლიათები, ტყის მტაცებლები, მგალობელი ჩიტები, წეროების გუნდი... და ყოველივე ეს შექმნილია ქვის, რკინის, ხის ფესვებისა და ჯირკვებისაგან.

— როცა ქვების შეგროვებას მივყავი ხელი, მეგობრები და ზოგი კოლეგა დამცინოდა კიდეც, — თქვა მან. — ერთხელ საზღვარგარეთელი სტუმრები მეწვივნენ. ამერიკელები, ინგლისელები და იაპონელები ინტერესით ათვალიერებდნენ კოლექციას, აოცებდათ ბუნების „მახვილგონიერება“. თითოეული ექსპონატი ხომ რაღაცას მოგვაგონებს, რაღაცას გამოხატავს...

შალვა გიგინეიშვილი ბავშვობიდანვე ხატვით იყო გატაცებული. როცა წამოიზარდა და რკინის დამუშავება დაიწყო, შეუმჩნეველი არ დარჩენია, თუ რა დამყოლია დამუშავების დროს იგი. დაიწყო სხვადასხვა კომპოზიციის შექმნა. შემდეგ ქვებმა და ხის ფესვებმა გაიტაცა.

ამ ადამიანის საოჯახო მუზეუმში მრავლად არის ფესურები და ტოტებიც. უყურებ და თვალწინ წარმოგიდგება სასაცილო დათუნია, ფრინველი თუ ადამიანი. შ. გიგინეიშვილის საკარმიდამო ნაკვეთში მრავალი სხვადასხვა ხე ხარობს. ორი წლის წინათ რაიონულ დათვალიერება-კონკურსში მისმა ეზომ პირველი ადგილი დაიკავა.

ახლა შალვა გიგინეიშვილი გამარჯვების დღესასწაულისადმი მიძღვნილ კომპოზიციაზე მუშაობს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 16.20 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.30 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.00 საქართველოს ისტორია. 17.30 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.40 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლეგენდების მხარეში“. 18.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოხუმი“. 18.25 — სახელმწიფო მიღება — ხარისხის გარანტია. 19.00 — კონცერტი, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 19.25 — რეკლამა. 19.30 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ (გადაცემა პირველი). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.55 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „სოფელი კაკაბთა“. 21.45 — რეპორტაჟი გამოფენიდან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ლ. კაზარნოვსკაიასა და ა. ხომერიკის კონცერტი (მ.). 23.40 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „წარმატება“. 18.55 — განცხადებები. 19.00 — დოკუმენტური ფილმი „ნაიარევი“.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მიწა და ქვები“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ადგილის დედა“. 10.55 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 11.15 — დოკუმენტური ფილმი „ასეთები იმპრეზენტებენ“. 11.55 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი: „სელაპები“. 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — ბიტურიენტებისათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შეგისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „საფრენი მინდორი“. 17.25 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება“ 18.20 — ლიტერატურული გადაცემა. „ერთი იდეის სამი წიგნი“. 18.55 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ (გადაცემა მეორე). 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ფონდეკის „შახტიორი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — კინოჟურნალი. 21.30 — თეატრალური ალმანახი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „რწმენა, იმედი, სიყვარული“.

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „მისი ახალგაზრდობის რეცეპტი“. 17.50 — განცხადებები. 17.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეურნეობაც და ტექნიკუმიც“. 18.10 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ვიბორგი“ და „ხივა“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ“. 11.25 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თეატრალური ისტორია“. 12.10 — მულტფილმი. 12.20 — დოკუმენტური ფილმი „ვებრძვი ომს“. 12.40 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 13.10 — დოკუმენტური ფილმი „მარკ რეიზენი. ერთი დღე და მთელი სიცოცხლე“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შეგისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „მძლეოსანი ბარნაბასი“. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „წმინდა სიცრუე“. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღვასთან ჭიდილი“. 17.55 — მოსწავლეთათვის. დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის მერიდიანზე“. 18.55 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ (გადაცემა მესამე). 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — კაუნასის „ჟალგირისი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — კინოჟურნალი. 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „საქართველოს მულტიპლიკაციური ფილმი. 21.30 — მღერიან და-ძმა თამარ და სანდრო ერისთავები. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „თეატრი და ცხოვრება“.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოხუცი“. 17.45 — კინოჟურნალი. 17.55 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 18.40 — მულტიპლიკაციური ფილმი „ბუროინუშკა“

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — სატელევიზიო დადგმა „ფსკერზე“ (I და II სერია). 12.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი ბრიგადის ბიოგრაფიიდან“. 13.00 — ამბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მასწავლებელ კამენკას არდადეგები“. 17.10 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი. „ლეგენდად ქცეული სიცოცხლე“. 17.40 — განცხადებები. 17.45 — „აგრომრეწვი მოქმედებს“. 18.00 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი გუნდი“ (კონცერტი. საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ბავშვთა გუნდის მონაწილეობით). 18.55 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ (გადაცემა მეოთხე). 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — რიგის ვეფი. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — კინოჟურნალი. 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობის შესახვედრად“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „გრანები“.

მეორე პროგრამა. 16.35 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კამისპირა ქალაქი“. 17.05 — მოსწავლეთათვის. პიგიენა და ჯანმრთელობა. 17.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ერთი სიყვარულის ამბავი“. 18.05 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სარატოვი“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — მხატვრული ფილმი „რწმენა, იმედი, სიყვარული“. 12.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრობის გზები“. 12.55 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 13.40 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შეგისწავლოთ ფრანგული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები პრეტიკაში“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფალავნები“. 18.20 — ჩვენი სადისკუსიო კლუბი. 19.05 — კინოჟურნალი. 19.15 — ახალგაზრდობისათვის. „საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობის შესახვედრად“. 19.30 — „წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე“ (გადაცემა მეხუთე). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „გზა განვლილი, გზა გასავლელი“. 21.25 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.45 — სპორტულ-თეატრალური ზეიმი.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „მისი რომანის გმირი“. 17.50 — განცხადებები. 17.55 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 18.05 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმი „ორი ნეკერჩხალი“. 10.30 — შეგისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ცხოვრების მიზანი“. 11.20 — ხალხური შემოქმედება. „ეთნოგრაფიის პრობლემები“. 12.20 — პოეზიის ხუთი წუთი. პუშკინის პოეზია. 12.25 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა. მხატვრული ფილმი „პირუთვნელი კაცი“. 14.05 — — პოეზიის ხუთი წუთი. პუშკინის პოეზია. 14.10 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა“. 14.35 — დეპუტატი და ცხოვრება, სატელევიზიო გადაცემა „გარდაქმნის გზით“. 15.10 — შეგისწავლოთ რუსული ენა. 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — პოეზიის ხუთი წუთი. პუშკინის პოეზია. 15.55 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. ცსკა — კაუნასის „ჟალგირისი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი „თომასა და ერიომაზე“. 17.40 — „საბჭოთის საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 18.25 — მოსწავლეთათვის. კონცერტი. 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.10 მოამბე. 19.45 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „სპარტაკი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — კინო